საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გიორგი გოგინაშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| კენჭისყრა - 12.11.2021 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თეა ძიმისტარაშვილი? |
| დიახ      არა |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი გოგინაშვილი

12 ნოემბერი 2021 წ. ქ.თბილისი

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებული პროცედურის ფარგლებში, 2021 წლის 04 ნოემბერს ჩატარებული ღია კენჭისყრისას მხარი დავუჭირე კანდიდატ თეა ძიმისტარაშვილის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის თეა ძიმისტარაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: დასაბუთება „02" ფურცლად

პატივისცემით,
გიორგი გოგინაშვილი

HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**
**გიორგი გოგინაშვილი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის თეა ძიმისტარაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო თეა ძიმისტარაშვილმა.

2021 წლის 04 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი თეა ძიმისტარაშვილის კანდიდატურის შემდგომ ეტაპზე გადაყვანას, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოვისმინე და გავეცანი კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების ჩანაწერებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ შეკრებილ ინფორმაციას, მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლების ანალიზს და მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი, თეა ძიმისტარაშვილი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა

და კომპეტენტურობის კრიტერიუმს. აღნიშნულზე მეტყველებს ასევე თეა ძიმისტარაშვილის მიერ დაგროვებულ ქულათა ოდენობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ვიღებ გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირო თეა ძიმისტარაშვილის კანდიდატურას.

გიორგი გოგინაშვილი

12.11.2021 წ.